COVID 19-ის გამოწვევები და სახელმწიფოს ეკონომიკური როლი გლობალიზაციის პირობებში

შოთა ვეშაპიძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გია ზოიძე,
ეკონომიკის დოქტორი,
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია,
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელზა ვეკუა
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

თანამედროვე სამყაროში, ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე, წარმოადგენს გლობალიზაცია. გლობალიზაციის პირობებში, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არის არა მხოლოდ ეროვნული ეკონომიკის დაცვა გარეგანი ზემოქმედებისგან (ე.წ. "საგარეო შოკისგან"), რაც დღესდღეობით ფაქტიურად შეუძლებელია, არამედ მისი ეფექტური ჩართვა საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდა გლობალურ დონეზე. ამ მხრივ, თანამედროვე სახელმწიფოს როლი ძალზე მნიშვნელოვანია.

საქართველომ უნდა შექმნას ეკონომიკის "ქართული მოდელი", რომელიც იქნება ახალი ეკონომიკური სისტემის ისეთი "ბირთვი", რომელიც მოიზიდავს ინვესტიციებს (ეკონომიკის რეალურ სექტორში), გააჩენს სამუშაო ადგილებს, განავითარებს ექსპორტს და საქართველოს ყველა მაცხოვრებელს რეალურ კეთილდღეობას მოუტანს. დღეს ზუსტად ის მომენტია, რომ სახელმწიფოს ინიციატივით მოხდეს ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტების განვითარება და ეკონომიკური უნიკალური პოტენციალის რეალიზაცია.

თანამედროვე, კოვიდპანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა გვიჩვენა, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა მაშინ ხდება შესაძლებელი, როდესაც ანტიკრიზისული გეგმა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერებას ეფუძნება. ამისათვის კი, აუცილებელია გაიზარდოს მთავრობისა და საჯარო სექტორის როლი კრიზისების მართვის საქმეში.

საკვანძო სიტყვები: კოვიდპანდემია, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ეფექტიანობა.

ძირითადი ტექსტი

კოვიდპანდემიამ მსოფლიოს ქვეყნები მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა. საქართველოს ეს გამოწვევები კიდევ უფრო მტკივნეულად შეეხო, რომელიც 2020 წელს ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ პირობებში ეკონომიკის როგორც გადამეტებული რეგულირება, ისე მისი თვითდინებაზე მიშვება, ეფექტიანი არ/ვერ იქნება. პირველ შემთხვევაში ხდება ეკონომიკის განვითარების "შემუხრუჭება" და მარეგულირებელ ორგანოებში კორუფციის ზრდა, და მეორე შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ სრული განუკითხაობა და მომხმარებლების და ინვესტორების უფლებების ხისტი დარღვევა. ეკონომიკური რეფორმების მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ყველაზე ეფექტიანია ამ ორ მიდგომას შორის – "ოქროს შუალედი"-ს გამოყენება.

მთავრობის ჩარევის აუცილებლობას ის გარემოებაც განსაზღვრავს, რომ აბსოლუტური თავისუფლება შეუძლებელია. ანარქია, როგორც საზოგადოებრივი მოწყობის ფილოსოფიური მოდელი, პრაქტიკულად განუხორციელებელია. ერთის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იგი საფრთხეს უქმნის მეორის თავისუფლებას.

ასევე მეტად რთული და მნიშვნელოვანია, ზემოაღნიშნული თვალსაზრისით, საკუთრების უფლებათა განსაზღვრა, რომელიც სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია.

კიდევ ერთი ეკონომიკური სფერო, რომელშიც განსაკუთრებით რთული პრობლემა წარმოიშობა, არის მონეტარული

სისტემა, რომლის მიმართაც მთავრობის პასუხისმგებლობა დიდი ხანია ცნობილია. აღნიშნულ სფეროში მთავრობის ჩარევის აუცილებლობა არაა მიჩნეული სადავოდ არცერთ ქვეყანაში.

თანამედროვე ეტაპზე, სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე გავლენას ახდენს ორი ძალზე მნიშვნელოვანი პროცესი: გლობალიზაცია და პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირება. გლობალიზაციის შედეგად, საგრძნობლად იზრდება როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს მთავრობათა ურთიერთდამოკიდებულება ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, აგრეთვე, მათი დამოკიდებულება საერთაშორისო (ზეეროვნულ) ინსტიტუტებზე. რასაკვირველია, ეს ყველაფერი ზღუდავს ეროვნულ მთავრობათა დამოუკიდებლობის ხარისხს და წარმოშობს ამა თუ იმ ქვეყანაში ერთიანი, უნიფიცირებული რეგულირების მექანიზმებისა და შეთანხმებების გაფორმების აუცილებლობას.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა: გლობალურ სამყაროში ხომ არ ხდება სახელმწიფოს როლის შესუსტება ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას ან სულაც - სახელმწიფოს კვდომა?! აღნიშნულ მოსაზრებას არც თუ ისე ცოტა მხარდამჭერი ჰყავს სამეცნიერო საზოგადოებაში. საკითხავია, რამდენად ასახავს მოცემული თეზისები რეალობას.

მართალია, საყოველთაოდ არის აღიარებული ბაზრის როლი ცივილიზაციის განვითარებაში, თუმცა იგი არ წარმოადგენს ყოვლისშემძლე ფენომენსა და ყველა პრობლემის მოგვარების ეფექტურ მექანიზმს. რეალურ ცხოვრებაში ხშირია ისეთი სიტუაცია, როცა ბაზარზე ხდება გარკვეული შეცდომების დაშვება. ბაზრის ასეთი ჩავარდნის ზონებში ხშირად ექცევა საზოგადოების მდგრადი და სტაბილური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი დარგები: მეცნიერება, განათლება, კულტურა, სოციალური უზრუნველყოფა.

თანამედროვე გლობალიზაციის პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი მის შემდეგ ფუნქციებში რეალიზდება:

- ბუნებრივი მონოპოლიის პირობების რეგულირება (ელექროენერგიის წარმოება და განაწილება, ტელეკომუნიკაციები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, წყალმომარაგება და ა.შ.);
- სახელმწიფოში არახელსაყრელი სოციალური შედეგების კორექტირება, რომლის შედეგადაც უნდა შემცირდეს სოციალური უთანასწორობა, უმუშევრობა და სიღარიბის მაჩვენებელი;
- ეკონომიკის მდგრადი და სტაბილური განვითარება მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს კრიზისული დაცემისა და ფასების ინფლაციური ზრდისაგან ეკონომიკის დაცვაზე.

ევროკავშირის ირგვლივ არსებული თანამედროვე რეალობა ადასტურებს, რომ ხდება ეროვნული სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქციის გადაცემა ამ უმსხვილესი რეგიონული ორგანიზაციისათვის (მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებისთვის საერთო ფულად საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება ხორციელდება ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ). თუმცა, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ გლობალიზაცია თვითონ წარმოშობს მრავალ პრობლემას, რომელთა გადაწყვეტა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე პრაქტიკულად წარმოუდგენელია (მაგალითად, მიგრაციის რეგულირება, ნარკოტრაფიკისა და ტერორიზმის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა, ტრანსეროვნულ კომპანიებზე კონტროლის დაწესება და სხვა).

სახელმწიფოთა დონეზე, შემოსავლების განაწილებაში თანასწორობის მაღალი ხარისხის მიღწევისკენ სწრაფვა ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი ხელს უწყობს საზოგადოებაში სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებას, იცავს მას ძლიერი რყევებისა და სამოქალაქო დაპირისპირებებისაგან.

შემოსავლების განაწილებაში გარკვეული თანასწორობის მიღწევა, ბევრი მკვლევარის მიერ განიხილება, როგორც მოსახლეობის ფართო ფენების მხრიდან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, შესაბამისად ადამიანური კაპიტალის დაგროვების, მცირე მეწარმეობის განვითარების პირობა, რასაც, როგორც უკვე დავინახეთ, წამყვანი როლი აკისრია თანამედროვე საზოგადოებაში, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი. აღნიშნულ საკითხს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეც გააჩნია. კერძოდ: განათლებასა და ჯანდაცვაზე გაწეულ დანახარჯებს მნიშვნელობა

აქვს არა მხოლოდ პიროვნების, როგორც დამოუკიდებელი ფასეულობისა და უმნიშვნელოვანესი საწარმოო ფაქტორის განვითარების თვალსაზრისით. მისი მნიშვნელობა იმაშიცაა, რომ იგი ხელს უწყობს მოსახლეობის ინდივიდუალური შემოსავლების გამოთანაბრებას.

დღესდღეობით, არც ერთი ქვეყნის მთავრობას არ შეუძლია დამოუკიდებლად შეიმუშაოს და განახორციელოს ეკონომიკური პოლიტიკა სხვა სახელმწიფოთა და, განსაკუთრებით, საერთაშორისო ორგანიზაციათა ქცევის ნორმების გაუთვალისწინებლად.

თანამედროვე სამყაროში, ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე, წარმოადგენს გლობალიზაცია. გლობალიზაციის პირობებში, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არის არა მხოლოდ ეროვნული ეკონომიკის დაცვა გარეგანი ზემოქმედებისგან (ე.წ. ”საგარეო შოკისგან“), რაც დღესდღეობით ფაქტიურად შეუძლებელია, არამედ მისი ეფექტური ჩართვა საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდა გლობალურ დონეზე. ამ მხრივ, თანამედროვე სახელმწიფოს როლი ძალზე მნიშვნელოვანია.

საყურადღებოა ისიც, რომ მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერების მიერ, ჯერჯერობით არ შექმნილა ყველა ქვეყნისათვის მისაღები და ერთნაირი ეფექტიანობით ფუნქციონირებადი საბიუჯეტო სისტემის მოდელი, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაც, თანამედროვე ეტაპზე, მოითხოვდეს მნიშვნელოვან სრულყოფასა და ტრანსფორმაციას. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნის პროცესში, სახელმწიფომ დაიწყო უცხო ქვეყნების “მზა“ ეკონომიკური მოდელების „მოზომვა“, რაც კიდევ ერთი კონცეპტუალური შეცდომაა.

ჩვენ უნდა შევქმნათ ეკონომიკის “ქართული მოდელი“, რომელიც იქნება ახალი ეკონომიკური სისტემის ისეთი “ბირთვი”, რომელიც მოიზიდავს ინვესტიციებს (ეკონომიკის რეალურ სექტორში), გააჩენს სამუშაო ადგილებს, განავითარებს ექსპორტს და საქართველოს ყველა მაცხოვრებელს რეალურ კეთილდღეობას მოუტანს. დღეს ზუსტად ის მომენტია, რომ სახელმწიფოს ინიციატივით მოხდეს ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტების განვითარება და ეკონომიკური უნიკალური პოტენციალის რეალიზაცია.

ასე მაგალითად, ერთიანი ხედვა აქვთ EBRD-ის პრეზიდენტს და ქვეყნის პრემიერ-მინისტრს იმ საკითხზე, რომელიც ეხება – საქართველოს რეგიონალურ სატრანსპორტო და სასაქონლო-სატრანზიტო “ჰაბად“ ჩამოყალიბებას და წარმოჩენას (საქართველოს უნიკალური მდებარეობიდან გამომდინარე – სავაჭრო-სატრანსპორტო მარშრუტების თვალსაზრისით).

ეს პერსპექტივა რომ ვაქციოთ რეალობად, საჭიროა სახელმწიფოს მონაწილეობით შეიქმნას არაკომერციული ე.წ. “ჰაბი“ – სასაქონლო ბირჟის სახით, რომელიც ხელს შეუწყობს:

- ეკონომიკის დემონოპოლიზაციის პროცესს;
- სასაქონლო და სავალუტო ნაკადების ზრდას და აქტივიზაციას;
- ლოჯისტიკის ქსელის განვითარებას;
- საზღვაო პორტების ოპტიმალურ დატვირთვას;
- საქართველოს ეკონომიკური მოდელის უნიკალურობის დამკვიდრებას.

მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფოს კონსტრუქციული “ჩარევა” ეკონომიკურ პროცესებში აუცილებელია, ოღონდ ერთი პირობით – თუ ეს ჩარევა იქნება ეფექტიანი.

აღსანიშნავია, რომ თუ წლების წინ სახელმწიფოს როლი და ფუნქციები მის საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკაზე დაიყვანებოდა, დღეისათვის ეს როლი ძირითადად განიხილება, როგორც ეკონომიკაზე ზემოქმედების ერთ-ერთი ტექნიკური ინსტრუმენტი. ამასთან არცერთ მთავრობას, მიუხედავად მისი პოლიტიკური მიზნებისა და ამოცანებისა, არ შეუძლია რაიმე ფორმით მონაწილეობა არ მიიღოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში და დაინტერესებული არ იყოს ქვეყანაში ბიზნესის მაღალი ეფექტიანობით. აქედან გამომდინარე სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია არის საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების ხელშეწყობა და დაცვა, რომლის უზრუნველყოფაც მას ეკონომიკაში ჩარევის გარეშე არ შეუძლია.

თანამედროვე საერთაშორისო ბაზრებზე გამძაფრებული კონკურენციის პირობებში ქვეყნის განვითარებისათვის დიდ აქტუალურობას იძენს ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის გა-

ტარება. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. თავისი არსით სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკა ძალზე კომპლექსური და ფართო თემაა. კლასიკოსებთან (მაგ. ა. სმითი, დ. რიკარდო) კეინზიანელების (მაგ. ჯ. კეინსი, გ. მენქიუ, ჯ. ჰიქსი) დავის უპირველესი თემაა სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევა-არჩარევის განსაზღვრა, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ბიუჯეტის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტის როლი მნიშვნელოვანია. გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, რთული წარმოსადგენია, რომ ქვეყანამ ეკონომიკური ზრდის და, შესაბამისად, ეროვნული ბაზრის კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის მიღწევა შეძლოს ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის გარეშე.

დღესდღეობით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და სოცია-ლურ გარანტიებზე ზრუნვა. რა თქმა უნდა, აუცილებელია ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფა, თუმცა აგრეთვე საჭიროა აქცენტი იქნეს გადატანილი სოციალურად დაუცველთა რაოდენობის კლებაზეც, რაც გულისხმობს სიღარიბის დონის შემცირებას. ეს კი ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სახელმწიფოს მიერ შექმნილი მომავლის ოპტიმისტური მოლოდინი ეკონომიკის კვლავწარმოებითი პროცესისათვის მასტიმულირებლად შეიძლება მივიჩნიოთ. აღნიშნული მთავარი საზოგადოებრივი საქონელია, რომელიც ეკონომიკური ზრდისათვის გადამწყვეტ როლს ასრულებს განვითარებული ქვეყნებისათვის, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისათვის ეს საკმარისი არა და საჭიროა სახელმწიფოს აქტიური საინვესტიციო პოლიტიკის გატარება (მაგ„ ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, განათლებაში და ა. შ.).

საქართველოში გადაუდებელ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს უთანასწორობის, სიღარიბისა და უმუშევრობის შემცირება, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა კერძო სექტორში, რომლის გარეშეც სოციალური კავშირები და ეკონომიკური განვითარება ვერ მიიღწევა. იმისათვის რომ ეს პრობლემები იქნეს დაძლეული, საჭიროა მწარმოებლურობის მაღალი დონის მიღწევა. იგი შეიძლება განხორციელდეს ეფექტურ რესტრუქტურიზაციასა და ადამიანური კაპიტალის მოდერნიზაციაზე ორიენტირებული სტრატეგიების შემუშავების საფუძველზე მაღალი დასაქმების უზრუნველყოფის გზით.

საქართველოში დღეს არსებული საწარმოების საექსპორტო კურსის დივერსიფიკაციამ ნათლად წარმოაჩინა გარკვეული მიმართულებებით ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა, კერძოდ: პოტენციურ დასაქმებულთა ცოდნისა და გამოცდილების გაზრდის კვალდაკვალ, უმნიშვნელოვანესია, ორგანიზაციებში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ლოჯისტიკური არხების კეთილმოწყობა.

სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საბიუჯეტო პოლიტიკაზე. სახელმწიფო ფინანსების პრიორიტეტული გახარჯვა პირდაპირ ზემოქმედებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე. ასე მაგალითად, თუ ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, არაკონკურენტული და არასამართლებრივი გარემო, კერძო საკუთრების დაუცველობა და ა.შ. სახელმწიფომ უნდა მიმართოს ამ მიმართულებით შესაბამისი ფინანსები. თუ მიმდინარე გამოწვევებს სახელმწიფო ადეკვატურად არ პასუხობს, მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსი, მაშინ საბიუჯეტო პოლიტიკა არასწორია.

თანამედროვე, კოვიდპანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა გვიჩვენა, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლი შესაძლებელი მაშინ ხდება, როდესაც ანტიკრიზისული გეგმა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერებას ეფუძნება. ამისათვის კი, აუცილებელია გაიზარდოს მთავრობისა და საჯარო სექტორის როლი კრიზისების მართვის საქმეში.

საჭიროა გავთავისუფლდეთ იმისგან, რაც ჩვენს ცნობიერებას აბრკოლებს: ნეპოტიზმი, რომელიც გზას უკეტავს პროფესიონალიზმს; უნდა დასრულდეს გამოცდილებისა და ცოდნის უგულებელყოფა, რაც შრომის ბაზრიდან უფროსი თაობების განდევნას ამართლებს და გვაღარიბებს; დაუშვებელია ნიჭიერების და განათლების დაუფასებლობა; დამღუპველია შიში

თავისუფალი ადამიანისა. ეს გვაკარგვინებს ძვირფას ადამიანურ რესურსს და აფერხებს მათ მოზიდვას ქვეყნისა და საზოგადოების სამსახურში. **სახელმწიფო ძლიერი მაშინ არის როდესაც მას აქვს ძლიერი ინსტიტუტები: პატრიარქი, ჯარი, პოლიცია, პარლამენტი, სასამართლო, პრეზიდენტი, ექიმები და სამედიცინო პერსონალი, დიპლომატიური კორპუსი, მედია**. ქვეყნის შიგნით პანდემიამ, ბევრ ტრაგედიასთან ერთად, შექმნა ახალი მოცემულობა და დაგვანახა განვითარების სტრატეგიის აუცილებლობა, რომელიც აისახება გამოკვეთილ პრიორიტეტებში, როგორიცაა: პროფესიონალიზმი, ანუ განათლების, გამოცდილების და ცოდნის ერთობლიობა; რეგიონების გაძლიერება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივ მმართველობას დაეკისროს მეტი პასუხისმგებლობა, მიეცეს მეტი ინიციატივის უფლება და მეტი მატერიალური, ადამიანური და პროფესიული რესურსი; ჯანდაცვის სფეროს პრიორიტეტად გამოცხადების აუცილებლობა; კულტურა, დროა გავიაზროთ არა როგორც გართობა, არამედ როგორც ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგი. ეკონომიკის ახალი პარადიგმა, პანდემიამ გვაჩვენა, რომ მხოლოდ ბაზრის პრინციპებზე აგებული ეკონომიკა ვერ პასუხობს მსოფლიო დონის გამოწვევებს. მთავარი პასუხისმგებლობა ჯანდაცვის, განათლების და სოციალური სფეროს უზრუნველყოფისთვის კვლავ სახელმწიფოს ეკისრება და უნდა ეკისრებოდეს კიდეც. მაგრამ საჭიროა მოიძებნოს ახლებური ბალანსი, რომელშიც კერძო სექტორის თავისუფალი მოქმედების არეალი არ შეიზღუდება - პირიქით, უფრო დაცული გახდება - და სახელმწიფო სექტორის როლი კი არსებითი დარჩება. როგორც ვნახეთ, სახელმწიფო სექტორის გაქრობის გეგმა აბსურდული აღმოჩნდა. თუმცა, ამ სფეროში უნდა დამკვიდრდეს კერძო სექტორისთვის დამახასიათებელი ეფექტურობა, მოქნილობა და ანგარიშვალდებულება ყოველ დახარჯულ ლარზე [3].

ცხრილში 1 მოცემული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე

ცხრილი 1. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლები და სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების თანაფარდობა მშპ-სთან, წლიური მონაცემები, 2015-2020 წლებში

	2015	2016	2017	2018	2019	I 20*	II 20*	III 20*
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი	33.9	35.8	40.8	44.6	49.3	11.1	11.1	13.3
მშპ მუდმივ 2015 წლის ფასებში, მილიარდი ლარი	33.9	34.9	36.6	38.4	40.3	9.1	8.8	9.8
მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტი	3.0	2.9	4.8	4.8	5.0	2.3	-13.2	-5.6
მშპ დეფლატორის ცვლილება, პროცენტი	5.8	2.6	8.5	4.4	5.2	7.1	7.2	5.9
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	9 109.4	9 613.9	10 933.9	11 968.0	13 239.4	2 974.3	2 990.2	3 586.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4 012.6	4 062.1	4 358.5	4 722.0	4 696.2	1 016.3	952.9	1 156.2
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	14.9	15.1	16.2	17.6	17.5	3.8	3.5	4.3
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები, მილიარდი ლარი	9.70	10.29	11.76	12.59	13.09	-	-	-
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების თანაფარდობა მშპ-სადმი, %	28.61	28.74	28.82	28.22	26,55	-	-	-

წყარო: შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით.

შენიშვნა: 2020 წლის მონაცემები აღებულია I, II და III კვარტლების მიხედვით

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ეკონომიკური ზრდის დაბალი, ქვეყნისთვის არასასურველი ტემპები. ქვეყანაში ჯერ კიდევ ძალიან უმნიშვნელოა მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს მატება. წინასწარი მონაცემებით, ქვეყნის მშპ დაახლოებით 6%-ით შემცირდა და რეცესია კვლავ გრძელდება. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, იცვლება მიდგომები ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისადმი.

განხილული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანალიზების შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ღრმა ეკონომიკური კრიზისის გაჩენის საფრთხე არსებობს. აღნიშნული კრიზისის თავიდან ასარიდებლად და ეკონომიკური სუვერენიტეტის ასამაღლებლად, უმნიშვნელოვანესია, სახელმწიფოს მიერ არსებული პოლიტიკური კურსის ძირეული გადახედვა და ახლებური პოლიტიკური პლატფორმის ჩამოყალიბება. ზემოთ წარმოდგენილი ქართული ეკონომიკური რეალობის საფუძველზე, საქართველოს მდგრადი და სტაბილური ეკონომიკური განვითარებისათვის მეტისმეტად ეფექტური იქნება შემდეგი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა:

- საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების საფუძველზე ადმინისტრაციული კონტროლის დახვეწა/გაუმჯობესება. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია შრომის კოდექსის ძირეული გადახედვა, რათა დასაქმებულთა უფლებები მაქსიმალურად იყოს დაცული.
- საგადასახო სისტემის მოდერნიზება (მაგალითად, პროგრესული საშემოსავლო გადასახადის შემოღება). პროგრესული საშემოსავლო გადასახადი მსოფლიოს საკმაოდ ბევრ ქვეყანაში მოქმედებს და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოების შემოსავლების გათანაბრებას. ამ შემთხვევაში, დასაბეგრი საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა მერყეობდეს 15%–დან 50%–მდე ფარგლებში.
- უნდა განისაზღვროს ეკონომიკის ის კონკრეტული პრიორიტეტული სექტორები, რომლებიც სახელმწიფო ქონებასა და მმართველობაში მოექცევა. ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს აქტიური ჩართულობა ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაზრდას. ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, გამოიწვევს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.
- მნიშვნელოვანია სხვადასხვა ეკონომიკური რეგულატორის (მაგალითად, სუბსიდია, სუბვენცია, დოტაცია და ა.შ.) ამოქმედება. პირდაპირი და ირიბი საექსპორტო სუბსიდიების მიზნობრივმა პოლიტიკამ შეიძლება უდიდესი ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის სტრატეგიულ, გრძელვადიან განვითარებაზე. ამასთან, სუბსიდირების პოლიტიკის სწორად შემუშავებასა და გატარებას შეუძლია გადაჭრას სახელმწიფოს ძირითადი სოციალურ პრობლემები.
- საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ოფშორული ზონების ინსტრუმენტის გამოყენება. როგორც ცნობილია, აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ნულოვან ან სიმბოლურ საგადასახადო სისტემას, რაც უცხოელი ინვესტორებისთვის ერთ-ერთი მთავარი სტიმულატორია. ამისათვის კი საქართველოში უნდა მოვახდინოთ ისეთი რეგიონების ოფშორულ ზონებად მოწყობა, რომლებიც მაქსიმალურად საჭიროებს მრავალმხრივ ინფრასტრუქტურულ განვითარებას. მოცემული პროექტის წარმატებით განხორციელება ამ ოფშორულ ზონებში ხელს შეუწყობს რეგიონის ინფრასტქუქტურულ გაუმჯობესებას, ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სწრაფ შემოდინებას და სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდას.

დასკვნა

ეკონომიკაში სახელმწიფოს ინტერვენციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის საუკეთესო მახასიათებლების მაქსიმალურად ეფექტიანად წარმოჩენა. თუმცა, სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის წარმატებულ მცდელობებთან ერთად, ხშირია სავალალო შეცდომების მაგალითებიც, როცა თვით ბაზარს უფრო უკეთ შეეძლო მოეგვარებინა წარმოქმნილი პრობლემები.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს ეკონომიკურ რეგულირებას ყოველთვის ჰქონდა სტრატეგიული და ტაქტიკური მნიშვნელობა. ნებისმიერი ქვეყნისათვის ყოველთვის არსებობს და იარსებებს ისეთი სახელმწიფოებრივი პრობლემები, რომელთა მოგვარებაც ან არ ხდება მიწოდება-მოთხოვნის მექანიზმით, ან უკავშირდება უარყოფით გვერდით ეფექტებს. სწორედ ასეთი შემთხვევების არსებობიდან გამომდინარე, ხორციელდება თავისუფალი ბაზრის შემავსებელი ეკონომიკურ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება ეკონომიკის სახელმწიფოებრივი პროგრამირებითა და რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენებით.

ეკონომიკა წარმოადგენს შედარებით არაზუსტ მეცნიერებას. შესაბამისად, კვლავწარმოებითი პროცესი მეტწილად დამოკიდებულია პროდუქციის რეალიზაციის მოლოდინზე და არა ზუსტ პროგნოზირებაზე ან ზუსტ ინფორმაციაზე. პრაქტიკაში სწორედ ამით შეიძლება აიხსნას კრიზისული პერიოდების სიმრავლე. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო - მთავარი საზოგადოებრივი საქონლის (მომავლის მიმართ ოპტიმისტური მოლოდინების) შექმნით ახორციელებს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას, რის გამოც სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი შესაძლოა მივაკუთვნოთ წარმოების ფაქტორებს.

გარდა ამისა, აუცილებელია, მოსახლეობისათვის რეალურად ხელმისაწვდომი გახდეს შემდეგი ძირითადი სოციალური უფლებები - სოციალური დაცვა, დასაქმება, საცხოვრებელი, ჯანდაცვა და განათლება. ამ უფლებებით სარგებლობა ყველაზე ხშირად სწორედ მათთვის არის მიუწვდომელი, რომელთაც ისინი ყველაზე მეტად ესაჭიროებათ.

დასაქმება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. ამასთან, სამუშაოს ყველასათვის ხელმისაწვდომობა და საზოგადოებისათვის ნორმალური სამუშაო პირობების შეთავაზება სიღარიბესთან ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია. აქედან გამომდინარე, სოციალური დაცვის სისტემების მეშვეობითა და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით, ყოველი სახელმწიფო ცდილობს დაეხმაროს ადამიანთა რაც შეიძლება მეტ რაოდენობას, ეკონომიკურ პროცესებში პასიური როლიდან აქტიური მდგომარეობისკენ გადასვლაში. სწორედ აქ ვლინდება საზოგადოების თითოეული წევრის განათლებაზე ინვესტირების აუცილებლობა, ვინაიდან ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა მომავალ ეკონომიკურ ზრდაში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში აუცილებელია სახელმწიფოს როლისა და უფლებების კიდევ ერთხელ გადახედვა და რეფორმირება. რეფორმირებისას ხაზი უნდა გაესვას სახელმწიფოს, როგორც პროგრესული განვითარების ფაქტორის დამკვიდრების აუცილებლობას ეკონომიკაში. ამასთან, იგი უნდა მოიცავდეს ისეთ საკანონმდებლო საქმიანობებს, როგორებიც არის - შრომის უსაფრთხოების პირობების შესრულება, მინიმალური ხელფასის რეგულირება, სოციალური კონფლიქტების გადაწყვეტა და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დავით აფციაური, თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ამჟამინდელი ტენდენციები და პანდემიის (COVID-19) კრიზისის შემდგომი გამოწვევები, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევის ფონდი, თბილისი, 2020.
2. გია ზოიძე, პანდემიით გამოწვეული რისკები და ანტიკრიზისული მენეჯმენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული - "თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები", თბილისი, 2020
3. სალომე ზურაბიშვილი, პრეზიდენტის გამოსვლა საქართველოს პარლამენტის მეათე მოწვევის პირველი სხდომის გახსნისას, საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებ-გვერდი, თბილისი, 2020.
4. მაია ჭანია, სახელმწიფო როლის მოდიფიკაცია ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული - „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", თბილისი, 2017
5. www.nbg.gov.ge - საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი
6. www.mof.ge - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი
7. www.geostat.ge - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი

The challenges of COVID-19 and the economic role of the state in the context of globalization

Shota Veshapidze, Associate Professor, Tbilisi State University

Gia Zoidze, Doctor of Economics, Invited Lecturer: Batumi State University, Batumi State Maritime Academy

Elza Vekua, PhD student of GTU

Summary

In the modern world, one of the major factors influencing the economic role of the state is globalization. In the context of globalization, the most important function of the state is not only to protect the national economy from external influences (so-called "external shocks"), which is virtually impossible today, but also its effective involvement in international economic ties and increasing the country's competitiveness globally. In this regard, the role of the modern state is very important.

Georgia needs to create a "Georgian model" of the economy, which will be the "core" of the new economic system, which will attract investment (in the real sector of the economy), create jobs, develop exports and bring real prosperity to all residents of Georgia.

Today is exactly the moment when, at the initiative of the state, the priorities of the country's economy are developed and the unique economic potential is realized.

The modern economic crisis caused by the Covid-pandemic has shown that a way out of the current situation is possible when the anti-crisis plan is based on strengthening state intervention in the economy. To do this, it is necessary to increase the role of government and the public sector in crisis management.

Keywords: covid-pandemic, economic role of the state, effectiveness of intervention in the state economy.